



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 116

2011 წლის 20 სექტემბერი
ქალაქი ხაშური

სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 13 სექტემბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110023751) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ანაკლიაში დისლოცირებულ საერთაშორისო პატრიოტულ ბანაკში 10 მონაწილის ჩაყვანა-ჩამოყვანის უზრუნველსაყოფად სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვაზე, რომელსაც 2011 წლის 19 სექტემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. მონაწილეთა გადაყვანამდე, 22 სექტემბრამდე, რჩება ორი დღე.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს ანაკლიაში დისლოცირებულ საერთაშორისო პატრიოტულ ბანაკში 10 მონაწილის ჩაყვანა-ჩამოყვანისათვის სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველსაყოფად მარშუტით - ქალაქი ხაშური-ანაკლია - ქალაქი ხაშური სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.

2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.

3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

